პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 128 (13249) | ოთხშაბათი, 2 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

უპატრონოდ

ჩაის გადასამუშავებელ ფაბრიკებში კარგად იცნობენ ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის პროდუქციას. ახლა, როცა ჩაის უხვი მოსავლის აღების ცხარე დღეებია და ფაბრიკებიც მთელი დატვირთვით შეუდგნენ ახალი პროდუქციის გადამუშავებას, ბათუმელი მანქანათმშენებლები კიდევ უფრო აძლიერებენ შრომის ტემპს, რათა შეუფერხებლივ მიაწოდონ მანქანები ჩაის მრეწველობას.

ქარხნის კოლექტივმა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა და გეგმის გადამეტებით 55 ათასი მანეთის საერთო ღირებულების მანქანა-დანადგარები გაუგზავნა ჩაის მრეწველობას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს თბილისის ელექტროსაიზოლაციო მასალების ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის საწარმოო გეგმა.

ნაცვლად გათვალისწინებული 3 მილიონ 895 ათასი მანეთისა, ამ პერიოდში სახელმწიფოს მიეცა 4 მილიონ 70 ათასი მანეთის ღირებულების საიზოლაციო ეკონომია. შედასამჯარნო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ელექტ[illegible] მეორე სამკერო (უფროსი გ. მელაშვილი), რომელიც [illegible] 110-115 პროცენტით / ასრულებს.

კომუნისტური შრომის საწარმოს — თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი ვ. [illegible]) ნაყოფიერად იშრომა [illegible] პროდუქციის გამოშვების დავალება შეასრულა 104 პროცენტით, რითაც [illegible] 46 ათასი მანეთის ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია.

გადაჭარბებით არის განაღდებული მოსაპირკეთებელი ფილების სახელმწიფო დავალებაც. თუ გეგმით უნდა დაემზადებინათ 171 ათასი კვადრატული მეტრი ფილა, ფაქტიურად დამზადეს 175 ათასი. ასევე დიდი გადაჭარბებით არის გამოშვებული მხატვრული კერამიკის ნაწარმიც.

შრომის სწორი ორგანიზაციითა და მოწინავე მეთოდების დანერგვით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 1,2 პროცენტით, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო.

[illegible] ეროვნული [illegible]

200.000 ტონა ჩაისათვის

გუშინ აფხაზავას რგოლში



საკრეფმა მანქანამ დღეში 150-160 მეჩაიე შეცვალა

გვინდოდა ჩაის პლანტაციებში გასვლა დაგვესწრო ინგირის საბჭოთა მეურნეობის იმ რგოლის წევრებისათვის, რომელსაც სახელოვანი მექანიზატორი სერგო აფხაზავა ხელმძღვანელობს. გვსურდა გვენახა — როგორი ენთუზიაზმით, ხალისით შეუდგებოდნენ დილით შრომას რგოლის წევრები, მაგრამ არ მოხერხდა. ისინი ჩვენზე ადრე გასულნან პლანტაციებში სამუშაოდ.

1.200 მეტრზე ლარივით გადაჭიმულ ხნორ პლანტაციებს ნელ-ნელა მიჰყვებოდა ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო". ერთ-ერთი მანქანის სავეს მართავდა თვითონ მერგოლური მექანიზატორი სერგო აფხაზავა. იგი მანქანით ისე სწრაფად იღებდა ფოთლებს, რომ მნახველი გაკვირვებაში მოჰყავდა. კრეფის დაწყების პირველ დღეს წარმატებათა მოსაპოვებლად ერთმანეთს უცილებოდნენ მექანიზატორები ჭუმბერ ქობალია, სერგო აფხაზავა, კლარა დავითაია, ნადია დმიტრიევა.

პირველ დღესვე სერგო აფხაზავას რგოლმა სახელი გაითქვა. პირადად მეფოთლის მოსაკრეფად მეჩაიემ უნდა გააკეთოს თითების 3 ათასი მოძრაობა, მოწევეტოს 2.500-3.000 დუყი და კალთაში ჩაუყაროს. წარმოიდგინეთ ამის შემდეგ ს. აფხაზავას ერთი დღის რეკორდი — 4.040 კილოგრამი ფოთოლი რა დიდი სიხარულია.

გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ი. ჩიქავას. მან სასიხარულო ცნობა გვითხრა. სერგო აფხაზავამ გუშინდელი დღის ჩათვლით ერთი მანქანით უკვე მოკრიფა 18.000 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

წარმატება ვუსურვოთ სახელოვან მექანიზატორ სერგო აფხაზავას.

შ. ჭოჭუა.

„კომუნისტის" სპეც. კორ.

სურათზე: ზევით — მოწიფული მერგოლური სერგო აფხაზავა შესვენების დროს ესაუბრება თავისი რგოლის წევრებს: ქვევით — „საქართველო" პლანტაციაში.

ფოტო ბ. სოკოლოვისა. (საქფესის ფოტოკორესპ.).

საწ როგორ მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა

ყოველდღე ძლიერდება „მწვანე ოქროს" კრეფის ტემპი. ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეები წელს შარშანდელთან შედარებით უფრო სასახელოდ მუშაობენ. მაგალითად, წელს პირველი ივნისისათვის მოკრეფილია 48.471 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შარშან ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 34.704 ტონა. **შარშან 1 ივნისისათვის აპრილ-მაისის გეგმა შესრულებული იყო 56,7 პროცენტით, ხოლო წელს ამ ციფრმა 74,9 პროცენტს მიაღწია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პირველი ივნისის ცნობებით **აფხაზეთის** ასს რესპუბლიკაში „მწვანე ოქროს" კრეფის აპრილ-მაისის გეგმა შესრულებულია 64,9 პროცენტით, **აჭარის** ასს რესპუბლიკაში — 94,8 პროცენტით, **მახარაძის** რაიონში — 69,2, **ზუგდიდის** — 61,9, **წალენჯიხის** — 54, **ლანჩხუთის** — 81,6, **გეგეჭკორის** — 77,1, **ჩხოროწყუს** — 71,7, **ჩოხატაურის** — 85,1, **ტყიბულის** — 92,3, **წყალტუბოს** რაიონში — 102,8, **წულუკიძის** — 84, **ცხაკაიას** — 94,4, **ხობის** — 84,1, **სამტრედიის** — 90,5, **აბაშის** — 63,1, **თერჯოლის** — 121,4, **ვანის** — 88,6, **ზესტაფონის** — 53,3, ხოლო **ჭიათურაში** — 77,3 პროცენტით.

წყალტუბოელთა წარმატება

წელს წყალტუბოელმა მეჩაიეებმა შარშანდელთან შედარებით უფრო გვიან დაიწყეს ჩაის ფოთლის კრეფა, მაგრამ სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გაჩაღებით წარმატებით შეასრულეს აპრილ-მაისის დავალება. — გვატყობინებენ პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველი მდივანი **ო. აბესაძე**, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გ. ჟუთათელაძე**, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი **მ. ღოღობერიძე**.

რაიონის მეჩაიეებმა 31 მაისისათვის მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 1.414 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.379 ტონისა. ეს წლიურ გეგმის 35.5 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია ის, რომ მოკრეფილი ფოთლის 84 პროცენტი პირველი ხარისხისაა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, მოკრეფილია 124 ტონით მეტი.

ამ წარმატებებში განსაკუთრებით ისახელეს თავი **სორმონის, გუმათის, ზარათის, ცხუნკურის, რიონის, ეონითის, ოფურჩხეთის, გუფბრის, მაღლაკის, საჩხეურის, დღნორისის, ზედა** და **ქვედა მესხეთის** კოლმეურნეობებმა. დიდ წარმატებას მიაღწიეს მეჩაიეებმა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ანეტა ხუციძემ** (რიონის კოლმეურნეობა) მოკრიფა 2.860 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ანუ წლიური გეგმის 72 პროცენტი. გუმბრელმა **ოლია უშვერიძემ** მოკრიფა 2.084 კილოგრამი. ცხუნკურელმა **შურა ჯიმშელეიშვილმა** — 1.930 კილოგრამი.

წყალტუბოსა და ოფურჩხეთის ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 107 ტონა მაღალი ხარისხის მწა პროდუქცია. ნაცვლად 100 ტონისა. გეგმა შეასრულეს ყველა ასორტიმენტის მიხედვით.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲑ

მახარაძე. (საკ. კორ.). მეტი ჩასათვის ბრძოლაში თავი ისახელეს სოფელ მთისპირის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე **გ. ვაშალომიძე**) მეჩაიეებმა. ქვეს ღირსია **ოლია მამეიშვილი**, რომელმაც 26 მაისისათვის მოკრიფა 2.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ნედლეული ნაცვლად აპრილ-მაისის გეგმით გათვალისწინებული 1.500 კილოგრამისა. იგი ბრძოლის 8 ტონა ჩაისათვის.

წარჩინებულმა მეჩაიემ **ფაცია გუჯაბიძემ** 1.600 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფა 2.100 კილოგრამი „მწვანე ოქრო". ნოვაკორობა მეჩაიეებმა **მარიამ ლომაძემ, მარხელინა ინწკირველმა, ნანული კილუფაძემ, ლალა სირაძემ**. საბრძოლო უპატრონოდ ორი თვის დავალების 110-120 პროცენტით შეასრულეს. წელს თვითეულ მათგანს სულ სეზონში მოკრიფეს 2.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მთისპირელებმა გადაწყვეტეს ივნისის დავალება 18 ივნისისათვის შეასრულონ—მოკრიფონ 313 ტონა ჩაის ნედლეული, ხოლო სეზონში — 700 ტონა ნაცვლად 600 ტონისა.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲐᲙᲠᲔᲤᲐᲕᲔᲑᲘ

ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა ჩაის პლანტაციებში. ოკოლის კოლმეურნეობაში ერთ დღეს მოკრიფეს 631 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ყოველდღიურად ძლიერდება კრეფის ტემპი. მოწინავე მკრეფავი **მარგალიტა აბაშიძე** ყოველდღიურად 50-60 კილოგრამს კრეფს. **სონია ჩუბინიძე** — 37-45 — კილოგრამს, ხოლო **ქსენია ჩუბინიძე** — 30-35 კილოგრამს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

სახალხო უნივერსიტეტს ყურადღება და ზრუნვა!

— თითოეული ლექცია ხელოვნებისა და ცხოვრების ახალ ჰორიზონტებს მიხსნიდა, ყველაფერი, რაც გუშინ გაუგებარი იყო, უფრო ნათელი ხდებოდა... თანდათანობით მივიწევდი წინ. შევიდი მუშა ახალგაზრდობის სკოლაში. არცერთი გაკვეთილი არ გამიცდენია სკოლაში და არცერთი ლექცია — უნივერსიტეტში...

ასე გამოეხმაურა გომელის ოლქის მუშა ა. ბასტუხოვი მეცადინეობას სახალხო უნივერსიტეტში, რომელიც ლოვეის კულტურის სახლთანაა გახსნილი.

„ჩვენი უნივერსიტეტი" — ეს სიტყვები შეიძლება გაიგონოთ ქალაქშიც და სოფელშიც, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებისაგან. სახალხო უნივერსიტეტები თვითგანათლებისა და მასობრივი პროპაგანდის ფართოდ გავრცელებულ ფორმად გადაიქცა. შემთხვევითი როდია, რომ ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამ საზოგადოებრივ სასწავლებელთა მრავალი სახეობა წარმოიშვა.

სახალხო უნივერსიტეტებში სწავლობენ მეცნიერების, ტექნიკის, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, პედაგოგიკისა და მეცნიერების სხვა დარგების უახლეს მიღწევებს, იფართოებენ საერთო მსოფლმხედველობას.

ახლა 13 ათასი სახალხო უნივერსიტეტია, რომელშიც ორნახევარ მილიონამდე მსმენელი მეცადინეობს.

ეს ციფრები მოიფიქრა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გაგეგიობის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. ნ. ჟუკოვ-ვერეჟნიკოვმა 31 მაისს საზოგადოების გამგეობის პლენუმზე წაკითხულ მოხსენებაში. პლენუმმა განიხილა სახალხო უნივერსიტეტების საქმიანობის შედეგები, დასახა მათი შემდგომი განვითარების გზები.

ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს. რაც მთავარია — ეს არის მეცადინეობის ქმედითობა, რომელსაც ბევრ სახალხო უნივერსიტეტში მიაღწიეს. ირკუტსკის კუიბიშევის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში ტექნიკის პროგრესის უნივერსიტეტის მსმენელები წელიწადზე 3 ტონაზე, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებასთან. ცელინოგრადის ტექნიკური პროგრესის უნივერსიტეტის მშენებელი ოსტატთა ფაკულტეტზე მსმენელებმა ვ. ი. მალახოვმა და ს. პ. ტრუშინკამ დააპროგრამეს 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მსმენელმა მ. ი. ტისოვსკაიამ შექმნა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისა და სამრეწველო საქონლის მაღაზიის პროექტები.

მსმენელები ცდილობენ შეძენილი ცოდნა გამოიყენონ არა მარტო საწარმოო, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. დაამთავრა მშობელთა სახალხო უნივერსიტეტი ქალაქ სოხუმში, დიასახლისმა ა. ს. უტინამ საბავშვო ოთახი მოაწყო თავის მიკრორაიონში, მან 100-მდე საზოგადოებრივი ინსპექტორი გაიერთიანა, რომლებიც მოზარდებთან მუშაობენ.

ეს და ბევრი სხვა ფაქტი ცხადყოფს, რომ სახალხო უნივერსიტეტები დამკვიდრდა ცხოვრებაში, თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ადამიანის კომუნისტურ აღზრდაში.

ნ. ნ. ჟუკოვ-ვერეჟნიკოვმა მოხსენებაში მთელი რიგი პრობლემები დასახა, რომლებიც პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ Ი. ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოწვევით იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლესთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ეწვევა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს 1965 წლის ივნისის მეორე ნახევარში.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

მოსკოვი, 1 ივნისი. (საკდესი). დღეს მოსკოვში ჩამოვიდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარის მოადგილე, იუგოსლავიის კომუნისტების კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ბ. კრაიგერი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს მოლაპარაკებაში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე.

ᲨᲕᲔᲓᲘᲐᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ Ტ. ᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საბჭოთა კავშირის მთავრობამ საბჭოთა კავშირში ვიზიტად მოიწვია შვედეთის პრემიერ-მინისტრი ტ. ერლანდერი. შვედეთის პრემიერ-მინისტრი მადლობით დათანხმდა მოწვევაზე.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ვიზიტი გაიმართება 1965 წლის 10 ივნისიდან 17 ივნისამდე.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲑᲐ

1965 **წლის** 18-29 მაისს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირ-კორეის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის XVI სესია, რომელიც მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში.

სესიამ შეაჯამა წინა სესიის გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგები და განიხილა სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის XVI სესიის ოქმს.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲒᲔᲠᲰᲐᲠᲓᲡᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი თანმხლებ პირებთან ერთად შეხვდა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ვ. გრიშინს. ვ. ვ. გრიშინსა და ნორვეგიელ სტუმრებს შორის გაიმართა გულთბილი, გულწრფელი საუბარი.

მოსკოვი, 1 ივნისი. (საკდესის კორ.). ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ეინარ გერჰარდსენმა და მისმა მეუღლემ თანმხლებ პირებთან ერთად დღეს დათვალიერეს მოსკოვის ს. მ. კიროვის სახელობის პირველი საათის ქარხანა.

პრემიერ-მინისტრმა და მისმა მეუღლემ ხელი მოაწერეს საპატიო სტუმრების წიგნში. ეინარ გერჰარდსენმა აღნიშნა, რომ მოსკოვის პირველი საათის ქარხანა სანიმუშო საწარმოა, რომლის დათვალიერებამ მას და დელეგაციის სხვა წევრებს დიდი სიამოვნება მიანიჭა. მან წარმატება უსურვა ქარხნის კოლექტივს.

მოსკოვი, 1 ივნისი. (საკდესი). ნორვეგიის ელჩმა სსრ კავშირში ფრიტიოფ იაკობსენმა დღეს საუზმე გამართა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ეინარ გერჰარდსენის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ვ. გრიშინი და სხვები.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი). 19-დან 31 მაისამდე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საფრანგეთში იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით.

დელეგაციამ რამდენიმე დღე გაატარა პარიზში, ეწვია საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს, გაეცნო მშრომელთა ცხოვრებასა და საფრანგეთის კომპარტიის ორგანიზაციებისა და მისი აქტივისტების საქმიანობას.

ᲞᲠᲔᲡᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲯᲐᲡᲬᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ჰანოი, 1 ივნისი. (საკდესი). ამერიკელ და სამხრეთ ვიეტნამის თვითმფრინავები გუშინ რამდენჯერმე დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკას.

ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა ჩამოაგდეს ამერიკის ერთი თვითმფრინავი. ბევრი სხვა დაიზიანეს.

ᲩᲘᲮᲨᲘ ᲛᲝᲔᲭᲪᲜᲔᲜ

ვაშინგტონი, 1 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იუწყება: სახელმწიფო მდივანი რასკი, ბრაზილიასა და პარაგვაის საგარეო საქმეთა მინისტრები, ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლები ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოში გუშინ ყველაზე შეუკრბნენ დახურულ სხდომაზე პანამერიკული კავშირის შენობაში, რათა განეხილათ დომინგოს კრიზისი.

როგორც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ჟურნალებში აღნიშნავენ, თუ თათბირის მონაწილენი შეთანხმდნენ „რაიმე საკითხში", მათ, შესაძლოა, მოაწყონ ღია სხდომა. ეს „რაიმე საკითხი" შეიძლება იყოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ახალი კომისიის შექმნა სანტო-დომინგოში წასასვლელად, ანდა გადაწყვეტილება, რომ დომინგოს რესპუბლიკაში მოეწყოს „პლებისციტი", რასაც ამ დღეებში მხარი დაუჭირა სახელმწიფო მდივანმა რასკმა. რა აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებს მომართოს „პლებისციტს", რომელმაც თითქოს უნდა: გადაწყვიტოს, რომელი კონსტიტუცია სურს დომინგოს ხალხს — 1962 წლის, თუ 1963 წლისა?

ბევრი აქაური მეთვალყურის აზრით, ჯანინგტონი დომინგოს რესპუბლიკის საკითხის გამო ჩიხში მოექცა.

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საფრანგეთში ყოფნის შესახებ, დელეგაციის შეხვედრებმა და საუბრებმა საფრანგეთის კომპარტიის მრავალ აქტივისტთან, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წარმომადგენლებთან კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა და ფრანგი კომუნისტების მეგობრობა და სოლიდარობა.

ამ შეხვედრებმა დაადასტურა, ნათქვამია შემდეგ, ორივე პარტიის შეხედულებათა ღრმა იდენტურობა თანამედროვეობის ყველა ძირითად პრობლემაზე: მშვიდობის დაცვის, მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის, თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხთა მხარდაჭერის, ორივე პარტიის მიერ ამერიკის ავრეალის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლის უსიტყვო მხარდაჭერის, მშრომელთა ინტერესების დასაცავად, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისათვის საბრძოლველად მთელი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების ერთიანობისა და კავშირის მნიშვნელობის საკითხებზე.

აზრთა ურთიერთგაზიარებამ დაადასტურა ორივე პარტიის სრული თანხმობა იმ საკითხში, რომ საჭიროა მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის უზრუნველყოფა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, კომუნისტთა 1957 და 1960 წლების საერთაშორისო თათბირების სულისკვეთებით.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სწორია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ხაზი, რომელიც შეიმუშავეს პარტიის XX და XXII ყრილობებმა და საფრანგეთის კომპარტიის პოლიტიკური ხაზი, რომელიც შეიმუშავა ამ პარტიის XVII ყრილობამ.

შეხვედრებმა, აზრთა ურთიერთგაზიარებამ, საბჭოთა კავშირისადმი მზურვალე სიმპათიის გამოვლინებამ ხელი შეუწყო უკეთეს ურთიერთგაგებას და საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის ხალხებს მეგობრობის საქმეში. ამან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ სსრ კავშირისა და საფრანგეთის ახლანდელი დაახლოება შეეხებამება ფრანგი და საბჭოთა ხალხების მიზწრაფებებს. სსრ კავშირისა და საფრანგეთის ეკონომიური, დიპლომატიური და კულტურული ურთიერთობის განვითარება ხელს შეუწყობს მათს შემდგომ დაახლოებას ორივე ხალხისა და ევროპაში მშვიდობის ინტერესებისათვის.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სხდომაზე მიღებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება „ბეჭდვითი სიტყვის წარჩინებულის" საპატიო სიგელისა და სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ.

რუსეთის ფედერაციის რაიონული გაზეთების მდივნების ჟურნალისტური ოსტატობისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გადაწყვეტილია წელს მათთვის მოეწყოს გაერთიანებული ხუთდღიანი სემინარები. სემინარები მოეწყობა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარატოვში, სვერდლოვსკში, ხაბაროვსკსა და ნალჩიკში. ჟურნალისტთა რესპუბლიკური კავშირების გამგეობებს რჩევა მიეცათ მოაწყონ ანალოგიური სემინარები. (საკდესი).

ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲐ

თბილისის საზოგადოებრიობის კრება

1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საბაფხულო თეატრში გაიმართა ქალაქ თბილისის საზოგადოებრიობის კრება, რომელიც მიეძღვნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ამ მოვლენაზე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მრეწველობა მოწინავენი, მეცნიერებისა და განათლების მუშაკები, სტუდენტები და მოსწავლეები.

კრება გახსნა თბილისის აშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ევანაამ. მან სიტყვა მისცა ეურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორს თ. ალბაშვილს.

სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარმა პედიატრმა პროფესორმა ი. ფალავამ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ნ. გამცემლიძემ, თბილისის ორთოპედიატრ-გონმემკვეთებელი ქარხნის კომეთიანელი შრომის დამკვრელმა ვ. ჯაჩვლიანმა, თბილისი 38-ე საშუალო სკოლის დირექტორმა დ. სტეცენკომ, მწერალმა მ. მრევლიშვილმა, ახალგაზრდა დედამ ა. გვახარიამ.

შეკრებილთ გულთბილად მიესალმნენ პიონერები და ოქტომბრელები.

კრების მონაწილეთათვის გამართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამერიკაკავასიის მესხეთ-შავლეთ-ოსეთ-ინგილოს II ფონდის ლიტერატურებმა. (საქფესი).

ასე იძენენ ეკონომიურ ცოდნას

ბ. ჰანტურიძე სამთო ინჟინერია. მან ომის შემდეგ დაამთავრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ჭიათურის მარგანეცრესტის პერევლის მაღაროში დაიწყო მუშაობა. თითქმის ათი წელია მაღაროს მთავარი ინჟინერია. პროპაგანდისტული მუშაობის სტაჟი უფრო დიდი აქვს და საკმაოდ დახელოვნებულია. წელს იგი სამთო მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელ სემინარს ხელმძღვანელობდა.

პროპაგანდისტმა თავიდანვე ბეჯითად მოჰკიდა ხელი საქმეს. ყოველი მეცადინეობისთვის გულმოდგინედ ემზადებოდა. მარტო სახელმძღვანელოთი არ კმაყოფილდებოდა, დამატებით ლიტერატურას ეძებდა, თეორიულ დებულებებს ცხოვრებისეული მაგალითებით ასაბუთებდა და განმარტავდა, შესასწავლ თემას მჭიდროდ უკავშირებდა წარმოებას, მაღაროს კოლექტივის წინაშე მდგომ გადაუჭრელ ამოცანებს. უყველელად ამან განაპირობა, რომ სემინარიელთა მეცადინეობა ყოველთვის ხალისიანად და შინაარსიანად მიმდინარეობდა. მსმენელები დამოუკიდებელი რეფერატებით გამოდიოდნენ, შესასწავლელ თემას შემოქმედებითად უდგებოდნენ. მიიღეს ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაშიც გამოყენებდნენ.

და მუშაობის შეჯამების დროც დადგა. მსმენელები სრულ ხუთ საათზე მეოკრბნენ. სემინარის ხელმძღვანელმა ბ. ჰანტურიძემ მოკლე, შესავალი საუბრით დაიწყო და შემდეგ მსმენელებს კითხვები დაუყენა. დაიწყო ცოცხალი, გაშლილი საუბარი.

ლაპარაკობს საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, კომუნისტური შრომის უბნის უფროსი გ. გაფრიდაშვილი. მან დაბეჭდვითი განმარტა სოციალისტური მრეწველობის განვითარების შესაძლებლობანი და უპირატესობანი, ცალკე გამოჰყო შრომის ნაყოფიერების საკითხი, რომელიც ყველაზე მთავარი და გადამწყვეტია ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის. მას მოჰყავს თავისი უბნის მუშაობის მაგალითები და ცხადყოფს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის უშრეტი წყაროებია ახალი ტექნიკის, მეცნიერებეს მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა, შრომის კარგი ორგანიზაცია და მექანიზმების გონივრულად გამოყენება, მუშათა დახელოვნება და სამუშაო დროის შემჭიდროება. ამ შესაძლებლობათა ამოქმედებითა და გამოყენებით, — დასძინა გ. გაფრიდაშვილმა, — ჩემი უბნის კოლექტივი ნაკლები მუშახელით ასრულებს დავალების ყველა მაჩვენებელს, სამი ნუს მათ, — როგორც სარეკეში, ისე მოჩანს საწარმოს მუშაობა. მას სამართლიანად ეძახიან საწარმოს მუშაობის ბარომეტრს.

ამიტომ სამეურნეო ანგარიშის დინერგვა, მასალების, ელექტროენერგიის უაირათინავად ხარჯვა, მომქირნეობა ყველგან და ყველაფერში ჩვენი მტკიცე კანონი უნდა იყოს. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს.

სემინარის შემაჯამებელ მეცადინეობაზე ბევრი რამ თქვა სოციალისტური მრეწველობის გეგმაზომიერი განლაგება-განვითარების, ნედლეულის წყაროების წარმოებასთან დაახლოების ეკონომიურობის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე.

სემინარის მუშაობა შეაჯამა მისმა ხელმძღვანელმა ბ. ჰანტურიძემ. სემინარის მომავალ მუშაობაზე შენიშვნები გამოთქვეს მაღაროს პარტიბიუროს მდივანმა პ. ფალავანდიშვილმა და საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანმა გ. ნოზაძემ.

შემაჯამებელმა მეცადინეობამ ცოცხლად, გაშლილი საუბრით, შინაარსიანად ჩაიარა.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

შემაჯამებელ მეცადინეობაზე



თბილისის წინდების ფაბრიკაში ბევრი შრომის წარჩინებული ახალგაზრდაა. ასეთია მერი ბანცურიც. იგი ექვსი წელია, რაც ფეიქარია და ახლა ერთდროულად ხუთ სახვევ მანქანაზე მუშაობს. კომკავშირელი გოგონა ყოველდღიურად 90 წყვილ ელასტიკურ წინდას უშვებს.

სურათზე: მ. ბანცური (მარცხნივ) და მისი მოწაფე ნ. კოფორიძე.

ფოტო ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲚᲬᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

მასწავლებელი — სკოლის მემატიანე

ᲥᲐᲠᲒᲘ საქმე ითავა წინანდლის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. ლუტიძემ. მან შეადგინა წინანდლის საშუალო სკოლის ისტორია. უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალებით ჯერ მან გაეცნო [illegible] ადგილობრივ ისტორიულ არქივში, მოინახულა სოფლის [illegible]

ხელნაწერ ნაშრომში მოთავსებული მასალებიდან ვიცნობთ, რომ წინანდალში სკოლა 1870 წელს გაუხსნია საუფლისწულო მამულში მოიუშაკე კეთილდოვს. იგი წინანდლის საუფლისწულო მამულთა პირველდაწყებით სკოლად ჩამოდებოდა და სამი კვეფინისაგან შედგებოდა, სწავლება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე და, რა თქმა უნდა, ყველასათვის არ იყო ხელმისაწვდომი.

როგორც ავტორი აღნიშნავს, სკოლის გახსნას ხალხი აღფრთოვანებით შეხვედრია. უბრალო ადამიანები, ბავშვები უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ სოფელში სწავლა-განათლების შემომტან პირველ მერცხალს, პირველ მასწავლებელს სოფიო ანდრონიკაშვილს. იგი საგნების სწავლებასთან ერთად სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას უნერგავდა სწავლამოწყურებულ ახალგაზრდობას.

ავტორი წარსულთან ერთად შესანიშნავად ხატავს სკოლის დღევანდელ ცხოვრებას.

თელავის რაიონის განათლების განყოფილების მესაკუთრეებმა, სკოლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა ერთხმად აღიარეს ნ. ლუტიძის უანგარო, კეთილშობილური საქმიანობა და მხატვრული ლიტერატურით დაჯილდოვეს ენთუზიასტი მასწავლებელი — სკოლის მემატიანე.

ასე უფრთხილდებიან და უფლიან სკოლის წარსულსა და აწმყოს წინანდალში. ნ. ლუტიძის საქმიანობა მისაბაძია.

ნ. ბაჩიაშვილი,
გაზეთ „ალაზნის განთიადის“ რედაქციის ლიტერატურული მუშაკი.

ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲒᲘᲡ ᲥᲐᲚᲐ

ᲛᲔᲣᲨᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲛᲪᲮᲙᲘᲡᲓᲐᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲗᲕᲔᲚᲝᲡ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ოქტომბრის პლენუმი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

პლენუმმა დაგმო სუბიექტივიზმი, სოციალისტური მეურნეობის განვითარების ეკონომიური კანონების მოთხოვნების უგულებელყოფა, ცხოვრების მოვლენების მსჯელობისადმი მეცნიერული მიდგომისა და ხალხთა მასების გამოცდილების გათვალისწინების აუცილებლობის შეუფასებლობა, დაუსრულებელი რეორგანიზაციებითა და უსაფუძვლო გარდაქმნებით გატაცება, რაც იწვევდა დანაულობას საქმეში და მუშაკებს უკარგავდა რწმენას საკუთარი ძალებისადმი, ქმნიდა ნერვიულობასა და უპასუხისმგებლობის განწყობილებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებას ერთსულოვანი მოწონებით და მხარდაჭერით შეხვდა მთელი ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი, ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და მშრომელი ინტელიგენციის კეთილდღეობის საქმე, ვისთვისაც ძვირფასია მსოფლიო შუამთა და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა და წარმატებანი მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარიული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შემდგომი გაფართოება, ბრძოლა იმპერიალისტთან და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებანი.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ღონისძიებანი სამრეწველო და სასოფლო პარტიული ორგანიზაციების გაერთიანების საქმეში და მიმდინარე წლის მარტის პლენუმის დადგენილება საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ ცხადყოფენ, თუ რაოდენ დიდი ნაკლოვანებები და შეცდომები იყო დაშვებული უკანასკნელი წლების მანძილზე ქვეყნის ეკონომიკის მართვის და განვითარების საქმეში.

ერთიანი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გათიშვა სამრეწველო და სასოფლო ორგანოებად, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის ორგანიზაციული მშენებლობის ლენინურ პრინციპებს, არა მარტო ორგანიზაციული ფორმების არეა-დარეცა იყო, არამედ მიმართული იყო, საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველს — მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის შესუსტებისაკენ. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მათი მომსახურების სფეროების გაყოფა არამცთუ საზიანოა, არამედ მაენეა ჩვენი ერთიანი სრულყოფილი სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. იგი ჩრდილს აყენებდა ქალაქის და სოფლის ურთიერთ თანამშრომლობას, ასუსტებდა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საკითხი ყოველთვის იყო ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. ბოლშევიკური პარტიის დამაარსებელი, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადი ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი არის პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი პრინციპი და ამ კავშირის სისტემატური, შეუნელებელი განმტკიცება საჭიროა მანამდე, სანამ კლასები იარსებებენ.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „...პროლეტარიატის დიქტატურა არის კავშირი კავშირის განსაკუთრებული ფორმა მშრომელთა ავანგარდის — პროლეტარიატისა და მშრომელთა მრავალრიცხოვანი არაპროლეტარული ფენებისა (ბურჟუაზია. წვრილი მეპატრონეები, გლეხობა, ინტელიგენცია და სხვ.), ან მათი უმრავლესობისა, განსაკუთრებული ფორმა კავშირისა კაპიტალის წინააღმდეგ, კავშირისა კაპიტალის სრულიად დასამხობად, ბურჟუაზიის სრულიად დასამხობად, ბურჟუაზიის ჩაგვრის, ბურჟუაზიის ეკონომიკურ ბატონობის, ბურჟუაზიის ნებისმიერ ფორმებისა და მისი მხრივ რესტავრაციის ცდის სრულიად დასათრგუნავად, კავშირისა სოციალიზმის საბოლოოდ დამყარებისა და განმტკიცებისათვის“.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის დაძლევა და მათი სრული ლიკვიდაცია, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით გამოწვეული დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა და სოციალისტური მშენებლობის ფართო ფრონტი გაგლა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მშრომელთა ფენების მატერიალურ-კულტურული დონის მკვეთრი ამაღლება, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას არ შეეძლო ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ანდერძის — მუშათა კლასისა და გლეხთა კავშირის თანმიმდევრობითი გაძლიერებისა და განმტკიცების განუხორციელებლად.

მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციას და მის ბელადს — კომუნისტურ პარტიას შეუძლია დააკავშიროს, დაამეგობროს და კიდეკაც დაკავშირა, დაამეგობრა ეს ორი კლასი ახალი სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად.

სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის ბრძოლის მთელ პერიოდში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირმა რამდენიმე ეტაპი განვლო.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე პროლეტარიატი ახორციელებდა მთელ გლეხობასთან კავშირს ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში მეფისა და მეკამეულების წინააღმდეგ საბრძოლველად. ხოლო სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდში ბრძოლის მიზანი იყო ბურჟუაზიის დამხობა რუსეთში. ამ ამოცანის განხორციელებაში. პროლეტარიატის მოკავშირე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ღარიბი გლეხობა. ამიტომ სოციალისტური რევოლუციის ეტაპზე რევოლუციის ჰეგემონი პროლეტარიატი ახორციელებდა ღარიბ გლეხობასთან კავშირს საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პირობებში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და სამოქალაქო ომის წლებში მუშათა და გლეხთა კავშირს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ფორმა ჰქონდა. მან უზრუნველყო კულაკების წინააღმდეგობის დათრგუნვა და უდიდესი როლი შეასრულა საშუალო გლეხობის გადმოყვანაში საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

